ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5124242

ნომერი: AR1775176

თარიღი : 19.09.2020

გაცემის თარიღი : 02.10.2020

გაცნობის თარიღი : 02.10.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭირნახული , N1-ის მიმდებარედ , (ნაკვ. 03/029);

დამკვეთი-განმცხადებელი
- შალვა ქურიძე პ/ნ 01017007533
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- პავილიონი
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4959585
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 20.05.2020

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: პავილიონები
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: შალვა ქურიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს შოფინგ თაუნი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406062647
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლაურა ღაჭავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017003216

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3938.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 576.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 480.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 480.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1873.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1700.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 173.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 3.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.3
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 576კვ.მ = 0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 576კვ.მ = 0.1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3149კვ.მ = 0.8

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. რზ-2-ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა.
საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია დროებითი, სავაჭრო ან/და საგამოფენო, პავილიონის განთავსება, თუმცა თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო ობიექტი, ვიზუალით, გაბარიტებითა და მთლიანი მოცულობით არ წარმოადგენს დროებით სავაჭრო პავილიონს. გაცნობებთ რომ დროებითი სავაჭრო პავილიონის სტრუქტურა უნდა იყოს, მცირე გაბარიტებისა და მოცულობის, მსუბუქი კონსტრუქციის, უსაძირკვლო, მობლური ნაგებობა.
ასევე გაცნობებთ, რომ ქალაქისთვის მნიშვნელოვანია, არსებული რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნება-განვითარება და ახალი რეკრეაციული რესურსების გამონახვა, შესაბამისად საპროექტო, მიწის ნაკვეთის განაშენიანება უნდა მოხდეს, ფუნქციური, რეკრეაციული ზონის გათვასლიწინებით, ქალაქის გამწვანებული ტერიტორიების შესანარჩუნებლად, რომელიც აბალანსებს ქალაქის ისედაც გადატვირტულ განაშენიანებას.
ზემოაღნიშნულისა და მიმიჯნავე ნაკვეთების განაშენიანების გათვალისწინებით, ვინაიდან მიმდინარე AR1775176 განცხადებით წარმოდგენილია კაპიტალური, შენობები და არა დროებითი, მცირე გაბარიტების, მსუბუქი ფორმისა

და ვიზუალის პავილიონი 19/09/2020 წლის AR1775176 განცხადება ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.